პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №

—თებერვალი 2024 წელი

ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ბერი გაბრიელ სალოსის VI ჩიხთან არსებული უსახელო სკვერისთვის ყირგიზი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ჩინგიზ აითმათოვის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. სამგორის რაიონში, ბერი გაბრიელ სალოსის VI ჩიხთან არსებულ უსახელო სკვერს მიენიჭოს ყირგიზი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ჩინგიზ აითმათოვის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

01.19.35.007.042
01.19.35.007.012
NAPR
01.19.35.007.111
02 (1)
02 (1)
03 (1)
03 (1)
01.00.218
ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი
01.01.069
01.01.069
01.19.35.007.042
ბერი გაბრიელ სალოსის V ჩიხი
ბერი გაბრიელ სალოსის VI ჩიხი
01.00.218
01.00.218
NAPR
01.19.35.007.125
01.19.35.007.123
01.19.35.007.125
01.01.834
01.19.35.007.047
01.19.35.007.123
01.19.35.007.046
5 (1)
3 (1)
01.19.35.007.134
01.19.35.007.077
01.01.834
01.19.35.007.123
01.00.218
01.00.218
1 (1)
1 (1)

საქართველო

27388-01-2-202110051550

საგარეო საქმეთა სამინისტრო

16-032127814-03

№ 01/27388
05/10/2021

ქ. თბილისის საკრებულოს აპარატი

გაცნობებთ, რომ 2021 წლის 27 სექტემბერს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში ყირგიზეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს სპეციალურ წარმომადგენელთან, აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ყირგიზეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან, კაირატ ოსმონალიევთან გამართულ შეხვედრაზე განხილულ სხვა საკითხებთან ერთად, ყირგიზეთის მხარემ ქართულ მხარეს მიმართა თხოვნით, განიხილოს ქ. თბილისში ერთ-ერთი ქუჩისთვის ან სკვერისთვის გამოჩენილი ყირგიზი მწერლის, ჩინგიზ აითმათოვის სახელის მინიჭების შესაძლებლობა..

როგორც ცნობილია, ქ. ბიშკეკში არის შოთა რუსთაველის სახელობის ქუჩა. შესაბამისად, ნაცვალგების პრინციპის საფუძველზე მიზანშეწონილი იქნებოდა ქ. თბილისში რომელიმე ქუჩისთვის ცნობილი ყირგიზი მწერლის სახელის მინიჭება.

ამასთან გაცნობებთ, რომ უახლოეს პერიოდში საქართველოში იგეგმება ყირგიზეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტი (2021 წლის ბოლო - 2022 წლის დასაწყისი). შესაბამისად, საკრებულოს მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, სასურველი იქნებოდა, აითმათოვის სახელობის ქუჩის გახსნის საზეიმო ცერემონიის გამართვა მინისტრის ვიზიტის ფარგლებში.

გთხოვთ, გვაცნობოთ თქვენი პოზიცია.

პატივისცემით, ,
დავით კერესელიძე

დეპარტამენტის დირექტორი
აზიისა და ოკეანეთის ქვეყნების დეპარტამენტი

საქართველო

19499-01-2-202206271646

საგარეო საქმეთა სამინისტრო

04-0322178135-03

№ 01/19499
27/06/2022

ქ. თბილისის საკრებულოს აპარატი

სამინისტროს 2021 წლის 5 ოქტომბრის N01/27388 და 2022 წლის 27 იანვრის N01/2245 წერილების დამატებით გაცნობებთ, რომ 2022 წლის 19-25 ივნისს, საქართველოში ვიზიტით იმყოფებოდა საქართველოში ყირგიზეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი (რეზიდენციით ქ. ბაქოში), ბ-ნი კაირატ ოსმონალიევი, რწმუნებათა სიგელების გადაცემისა და ორმხრივი შეხვედრების გამართვის მიზნით.

ყირგიზეთის მხარემ საქართველოს პარლამენტში, საგარეო საქმეთა სამინისტროში, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში და ქ. თბილისის მერიაში გამართულ შეხვედრებზე, სხვა საკითხებთან ერთად დააყენა ქ. თბილისში ერთ-ერთი ქუჩისთვის ან სკვერისთვის გამოჩენილი ყირგიზი მწერლის, ჩინგიზ აითმათოვის სახელის მინიჭების შესაძლებლობის საკითხი.

ელჩმა აღნიშნა, რომ ქ. ბიშკეკში არის შოთა რუსთაველის სახელობის ქუჩა და იმის გათვალისწინებით, რომ 2022 წელს აღინიშნება „საქართველოსა და ყირგიზეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების“ ხელმოწერის 25 წლისთავი და საქართველოსა და ყირგიზეთის რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 30 წლისთავი, ხოლო 2023 წელს აღინიშნება გამოჩენილი ყირგიზი მწერლის, ჩინგიზ აითმათოვის დაბადებიდან 95 წლის იუბილე, თხოვნით მოგვამართა, განვიხილოთ ქართული მხარისთვის მისაღები ფორმით ქ. თბილისში ჩინგიზ აითმათოვის სახელის უკვდავყოფის საკითხი.

გთხოვთ, განიხილოთ ზემოხსენებული საკითხი და გვაცნობოთ თქვენი პოზიცია შეძლებისდაგვარად მოკლე ვადებში.

პატივისცემით,
ალექსანდრე ნალბანდოვი

დეპარტამენტის დირექტორი
აზიისა და ოკეანეთის ქვეყნების დეპარტამენტი

საქართველო

19499-01-2-202206271646

საგარეო საქმეთა სამინისტრო

04-0322178135-03

№ 01/19499
27/06/2022

ქ. თბილისის საკრებულოს აპარატი

სამინისტროს 2021 წლის 5 ოქტომბრის N01/27388 და 2022 წლის 27 იანვრის N01/2245 წერილების დამატებით გაცნობებთ, რომ 2022 წლის 19-25 ივნისს, საქართველოში ვიზიტით იმყოფებოდა საქართველოში ყირგიზეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი (რეზიდენციით ქ. ბაქოში), ბ-ნი კაირატ ოსმონალიევი, რწმუნებათა სიგელების გადაცემისა და ორმხრივი შეხვედრების გამართვის მიზნით.

ყირგიზეთის მხარემ საქართველოს პარლამენტში, საგარეო საქმეთა სამინისტროში, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში და ქ. თბილისის მერიაში გამართულ შეხვედრებზე, სხვა საკითხებთან ერთად დააყენა ქ. თბილისში ერთ-ერთი ქუჩისთვის ან სკვერისთვის გამოჩენილი ყირგიზი მწერლის, ჩინგიზ აითმათოვის სახელის მინიჭების შესაძლებლობის საკითხი.

ელჩმა აღნიშნა, რომ ქ. ბიშკეკში არის შოთა რუსთაველის სახელობის ქუჩა და იმის გათვალისწინებით, რომ 2022 წელს აღინიშნება „საქართველოსა და ყირგიზეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების“ ხელმოწერის 25 წლისთავი და საქართველოსა და ყირგიზეთის რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 30 წლისთავი, ხოლო 2023 წელს აღინიშნება გამოჩენილი ყირგიზი მწერლის, ჩინგიზ აითმათოვის დაბადებიდან 95 წლის იუბილე, თხოვნით მოგვამართა, განვიხილოთ ქართული მხარისთვის მისაღები ფორმით ქ. თბილისში ჩინგიზ აითმათოვის სახელის უკვდავყოფის საკითხი.

გთხოვთ, განიხილოთ ზემოხსენებული საკითხი და გვაცნობოთ თქვენი პოზიცია შეძლებისდაგვარად მოკლე ვადებში.

პატივისცემით,
ალექსანდრე ნალბანდოვი

დეპარტამენტის დირექტორი
აზიისა და ოკეანეთის ქვეყნების დეპარტამენტი

საქართველო

6963-01-2-202302281713

საგარეო საქმეთა სამინისტრო

04-032305910 0-03.

№ 01/6963
28/02/2023

საქართველოს პარლამენტის აპარატი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

**საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამინისტრო**

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

ქ. თბილისის საკრებულოს აპარატი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გაცნობებთ, რომ 2023 წლის 25 აპრილს, ქ. ბიშკეკში დაგეგმილია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ყირგიზეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს შორის პოლიტიკური კონსულტაციების მე-3 რაუნდის გამართვა, მინისტრის მოადგილეების დონეზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ, ყირგიზეთის მხარის მიერ მოწოდებულ კონსულტაციების დღის წესრიგში (თან ერთვის) და ასევე, თქვენი კომპეტენციის სფეროში შემავალ სხვა საკითხებთან დაკავშირებით მოგვაწოდოთ სასაუბრო მასალა მ.წ. 10 აპრილამდე (რუსულ ენაზე).

დანართი: 2 გვ.

პატივისცემით,
ალექსანდრე ნალბანდოვი

დეპარტამენტის დირექტორი
აზიისა და ოკეანეთის ქვეყნების დეპარტამენტი

Проект

Предложения по Повестке дня
3-х межмидовских политических консультаций
на уровне Заместителей министров иностранных дел
Кыргызской Республики и Грузии
(г.Бишкек, 25 апреля 2023 г.)

I. Сотрудничество в политико-дипломатической сфере

1. Обмен визитами на высшем и высоком уровнях.

- Официальный визит Министра иностранных дел Кыргызской Республики в Грузию;
- Официальный визит Премьер-министра Грузии в Кыргызскую Республику;
- Официальный визит Президента Кыргызской Республики в Грузию;

2. Сотрудничество в рамках международных организаций.

Кандидатура КР в НПЧ СБ ООН на период 2027-2028 гг.

3. Расширение договорно-правовой базы.

- Программа сотрудничества с МИД Грузии на период 2023-2024 гг.;
- Меморандум об установлении побратимских связей между г.Бишкек и г.Тбилиси;
- Меморандум об установлении побратимских связей между г.Чолпон-Ата и г.Батуми.
- Соглашение между Государственной таможенной службой при ПКР и Министерством финансов Грузии об организации обмена предварительными сведениями о товарах и транспортных средствах, перемещаемых между КР и Грузией;
- Соглашение о сотрудничестве в сфере пенсионного обеспечения между Социальным фондом при КМ КР и Агентством социального обслуживания при Министерстве труда, здоровья и социального обеспечения Грузии;
- Соглашение между Государственным агентством по делам молодежи, физической культуры и спорта при Правительстве КР и Министерством образования, науки, культуры и спорта Грузии о сотрудничестве в области физической культуры и спорта;
- Соглашение между Правительством КР и Правительством Грузии о реадмисии лиц и Исполнительного Протокола к данному Соглашению.

II. Сотрудничество в торгово-экономической сфере

1. Об организации 2-го заседания МПК в г.Бишкек.

2. Об установлении прямого авиасообщения.

3. Об установлении побратимских связей «Бишкек-Тбилиси» и «Чолпон-Ата-Батуми».

4. Об организации Бизнес-форума.

5. Об учреждении Торгового дома Кыргызстана в г.Тбилиси и Торгового дома Грузии в г.Бишкек.

6. О создании совместного Делового совета.

7. Об организации инфо-туров в Кыргызстан и Грузию.

III. Сотрудничество в культурно-гуманитарной сфере

1. Увековечивание памяти Чынгыза Айтматова в городах Тбилиси и Батуми.

2. О выделении квотных мест в ВУЗах Грузии для обучения студентов из КР.

IV. Экстрадиция граждан Кыргызской Республики, находящихся в тюремном заключении

№	Ф.И.О.	Год рождения	Статья УК и характер преступления	Начало и конец срока наказания	Место отбывания наказания
1.	Абдуллаева Насибахон Розибаевна	12.04.1980	подпункт «б» ч. 2. Ст. 143 (2) УК Грузии и подпунктом «б» и «д» части 3 этой же статьи	06.05.2014 г.- 06.05.2028 г.	Женская колония №5 (г.Рустави)
2.	Куручбеков Дастан Бакытбекович	21.05.2000	ст.260 ч.2, ст.19, 260 ч.4, ст.262 ч.1 УК Грузии.	14.11.2019 г.- 14.11.2025 г.	Колония №17 (г.Рустави)
3.	Юлдашев Улугбек Фазиллаевич	25.03.1979	статья 177 (кража), подпункт «d» пункта 3 и подпункт «b» пункта 4 УК Грузии	15.01.2018 15.07.2024	Колония 17 (г.Рустави)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032309756**
თარიღი: **07/04/2023**

ადრესატი: საგარეო საქმეთა სამინისტრო

აზიისა და ოკეანეთის ქვეყნების დეპარტამენტის დირექტორს
ალექსანდრე ნალბანდოვს

ბატონო ალექსანდრე,

თქვენი 04-0323059100-03 წერილთან დაკავშირებით, რომელიც საქართველოსა და ყირგიზეთის საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის, პოლიტიკური კონსულტაციების მე-3 რაუნდის ფარგლებში, განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით სასაუბრო მასალის გამოთხოვას შეეხება გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია წარმოდგენილი დღის წესრიგის ფარგლებში განიხილავს ერთ საკითხს, თბილისში ერთ-ერთი გეოგრაფიული ობიექტისთვის ყირგიზი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ჩინგიზ აითმათოვის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

გეოგრაფიული ობიექტისთვის სახელწოდების მინიჭების შესახებ, თქვენს მიერ წარმოდგენილი წერილის ფარგლებში, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ, საველე პირობებში განხორციელდა რამდენიმე გეოგრაფიული ობიექტის დათვალიერება. ვინაიდან ჩინგიზ აითმათოვის მოღვაწეობამ და შემოქმედებამ აღიარება ჰპოვა საერთაშორისო ასპარეზზე მივიჩნევთ, რომ გეოგრაფიული ობიექტი უნდა მდებარეობდეს თბილისის ისეთ რაიონში, რომელიც ტურისტული გადაადგილებისთვის განკუთვნილ მარშრუტებს შეიცავს. აღნიშნული მოსაზრების გათვალისწინებით კომისია აქტიურად განიხილავს ჩინგიზ აითმათოვის სახელის მინიჭებას ისნის რაიონში მდებარე ერთ-ერთი სკვერისთვის. როგორც მოგეხსენებათ ისნის რაიონი ერთ-ერთი ძველი და ისტორიული უბანია თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში, ამ რაიონშია წარმოდგენილი არაერთი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი და რაიონი მოხსენიებულია უძველეს ისტორიულ წყაროებში.

სკვერის შერჩევასთან დაკავშირებით სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია ამ ეტაპზე აქტიურ კომუნიკაციას აწარმოებს თბილისის საკრებულოს მაჟორიტარ წევრთან ისნის რაიონიდან.

საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელებული სახელდებების ფარგლებში არსებობს პრაქტიკა, რომ სკვერების სახელდების შემდგომ მხარეები თანხმდებიან სარეკრეაციო სივრცეების ერთობლივი მოწყობის შესახებ, რაც თემატურ გაფორმებას გულისხმობს.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია მიესალმება, თუ პოლიტიკური კონსულტაციების მე-3 რაუნდის ფარგლებში განხილული იქნება შესაძლებლობა, ყირგიზეთის მხარის მიერ, სკვერის სახელდების განხორციელების შემდგომ თემატური მოწყობის პროცესში ჩართულობასთან დაკავშირებით.

მეტი კონკრეტიკისთვის გაცნობებთ, რომ არსებული პროცედურების თანახმად, გეოგრაფიული ობიექტის შერჩევის შემდგომ, მოხდება თქვენი ინფორმირება სკვერის მდებარეობასთან დაკავშირებით და დაიწყება საკითხის ჯერ კომისიური, ხოლო შემდგომ საკრებულოს სხდომაზე განხილვა საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

ნინო ვარდოსანიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **პ/19039278**
თარიღი: **15/11/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი აზიისა და ოკეანეთის ქვეყნების დეპარტამენტის დირექტორის ალექსანდრე ნალბანდოვის 2022 წლის 27 ივნისის საქმე #04-0322178135-03 დაკავშირებით, რომელიც თბილისში ერთ-ერთი ქუჩისთვის ან სკვერისთვის ყირგიზი მწერლის ჩინგიზ აითმათოვის სახელის მინიჭებას ეხება.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ ისნის რაიონში,ბერი გაბრიელ სალოსის გამზირთან მდებარე უსახელო სკვერის სიტუაციური ნახაზი ს.კ. 01.19.35.007.123; (შემდგომში ჩინგიზ აითმათოვის სახელობის სკვერი) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 2 (ორი) გვერდი.

ნინო ვარდოსანიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე